

დასავლური პარადიგმის ფარგლებში აფხაზეთის
„იზოლაცია/დეიზოლაციის“ საკითხი
ქეთევან ციხელაშვილი



მარტი 2011

2008 წლის აგვისტოს კრიზისმა და მოსკოვის მიერ სეპარატისტული რეგიონების ცალმხრივმა ცნობამ შეცვალა კონფლიქტების 'ტოპოგრაფია' საქართველოში. ყველა ის მექანიზმი, რომელსაც მყიფე მშვიდობიანი პროცესი ეყრდნობოდა, დაიშალა. აფხაზეთიდან გაეროს დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) გასვლასა და „დსთ–ს ცისფერჩაფხუტიანთა“ დამატებითი შეიარაღებითა და პირადი შემადგენლობით გაძლიერებულ რუსეთის რეგულარულ არმიად მყისიერ გადაქცევასთან ერთად, ფაქტობრივად, შეწყდა საერთაშორისო სადამკვირვებლო და „სამშვიდობო“ მანდატები. კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესები, ძირითადად, იგივე დარჩა, თუმცა შეიცვალა მათი მდგომარეობა. ზოგადად, კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა გაცილებით გაუარესდა. ომს, რომელმაც, რონალდ ასმუსის მსგავსად მიიჩნევენ, რომ „მსოფლიო შეძრა“, საქართველოსა და რეგიონის ფარგლებს გარეთაც მოჰყვა რეზონანსი. ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ამ ომში აშკარა გამარჯვებული არ გამოვლენილა, ვინაიდან სხვადასხვა დოზით, მაგრამ ვერცერთმა მხარემ შეძლო საკუთარი ინტერესების სრულად დაკმაყოფილება.¹ შეილახა დასავლეთის ინტერესებიც,² რომელთა არსიც, უპირველესად, მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაა. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა ვირტუალურად „ახალი რეალობა“, რომლის გათვალისწინებითაც როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ ახალი პარადიგმები შეიქმნა.

ყველა უფლება დაცულია © ქეთევან ციხელაშვილი, 2011

50/1 რუსთაველის გამზ. 0108, თბილისი, საქართველო

ტელ/ფაქს: +995 322 931128

მობ: +995 599 14 52 13

მეილი: ksikhelashvili@ei-lat.ge

URL: www.ei-lat.ge

¹ საქართველოში კონფლიქტების შესახებ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ხელმისაწვდომია შემდგომ მისამართზე: <http://www.ceiig.ch/>, გვ.32

² აქ ტერმინი „დასავლეთი“ მიზანმიმართულად გამოიყენება ორივე აშშ–სა და ევროკავშირის აღსანიშნავად, ისევე იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩათვლით, რომელთა შემადგენლობაშიც ერთის ან მეორის წარმომადგენლები ჭარბობენ.

„ახალი“ დასავლური ხედვა – განვითარება და მახასიათებლები

დასავლური პარადიგმა, რომელიც თავდაპირველად, რეაგირებას გულისხმობდა, დროთა განმავლობაში, ანალიზისა და გადაფასების ეტაპის გავლით, პრო-აქტიურად გარდაიქმნა.

დასავლეთი, რომელმაც ვერ შეძლო მხარდი კრიზისის პრევენცია, იძულებული გახდა რეაგირება მოეხდინა განვითარებულ დრამატულ მოვლენებზე. ერთის მხრივ, მისი პირველადი რეაქციის მთავარ ამოცანას ცეცხლის სასწრაფო შეწყვეტის აუცილებლობა განისაზღვრავდა. რუსეთის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ აშშ-ს ადმინისტრაციისა და ბრიუსელის მხრიდან მკაცრი განცხადებები გაკეთდა. ზოგიერთი ევროპელი ლიდერი მხარდაჭერის საჩვენებლად, რისკის მიუხედავად, პირადად ჩავიდა საქართველოში. კრიზისის დროს, თბილისს ესტუმრა ასევე აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი. მალევე, ამერიკული მხარდაჭერის დემონსტრაციის მიზნით, აშშ სამხედრო ხომალდი ფოთის პორტში შევიდა. თუმცა, სწორედ ევროკავშირი, საფრანგეთის თავჯდომარეობით, საკმაოდ სწრაფად ჩაუდგა პოლიტიკურ პროცესს სათავეში და მიაღწია უშუალო მიზანს – ცეცხლის შეწყვეტას ექვსპუნქტიანი შეთანხმების საფუძველზე.

ევროკავშირმა, ასევე მისთვის ერთგვარად უჩვეულოდ სწრაფ ტემპში პროცესში ჩართო „ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის“ (ESDP) სამოქალაქო მისია – ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM), რომელიც მაშინ 200 დამკვირვებლისგან შედგებოდა და რომლის მოვალეობაც იყო „გადაემოწმებინათ ყველა მონაწილე მხარის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული, საქართველოსა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი და 2008 წლის 8 სექტემბრის „განსახორციელებელი ზომების“ შეთანხმებების პირობების შესრულება.“³ თუმცადა, დღემდე მისია აწყდება იმას, რასაც ხშირად „ცალმხრივ კონსტრუქტივიზმს“ უწოდებენ ხოლმე და რაც გულისხმობს შეთანხმებით აღებული ვალდებულებების მხოლოდ საქართველოს მხარის მიერ შესრულებას. ვიდრე რუსული მხარე უარს ამბობს შეთანხმების პირობების შესრულებაზე, სამხედრო შენაერთების გაყვანასა და კრიზისამდელ მდგომარეობის აღდგენაზე, ასევე ვიდრე აფხაზური და რუსული მხარეები არ უშვებენ ევროპელ დამკვირვებლებს კონფლიქტის ზონაში, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM) არასრულფასოვან ინსტრუმენტად რჩება.

მეორეს მხრივ, დასავლეთის მკაფიო და ცალსახა რეაქცია მოჰყვა მოსკოვის გადაწყვეტილებას საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ ცნობის შესახებ. საერთაშორისო საზოგადოების ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხი, იქნებოდა ეს ვაშინგტონი,

³ EUMM ოფიციალური ვებ-გვერდი, http://www.eumm.eu/en/about_eumm

ევროკავშირის სტრუქტურები თუ ცალკეული წევრი ქვეყნები, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი, ეუთო, დიდი შვიდეულის საგარეო საქმეთა მინისტრები, დსთ-ს ზოგიერთი ქვეყანა და გაერო, შესაძლოა განსხვავებული ტონითა და სიმძაფრით,⁴ მაგრამ ერთხმად გამოხატა რუსეთის ამ გადაწყვეტილებას და ადასტურებდა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.

მესამე მხრივ, დასავლეთის რეაქცია მოყვა კრიზისამდე არსებული მოლაპარაკებების ყველა ფორმატის ჩაშლასაც. მკვეთრი პოლარიზაციის გასაქარწყლებლად და პროცესის მოლაპარაკებების ფორმატში გადაყვანის მიზნით, საერთაშორისო მხარდაჭერით დაიწყო ჟენევის მოლაპარაკებები, სადაც ევროკავშირი, გაერო და ეუთო შუამავლობენ მხარეებად წარმოდგენილ აშშ-ს, საქართველოსა და რუსეთს. ჟენევის მოლაპარაკებებში უზრუნველყოფილ იქნა აფხაზური და სამხრეთ ოსური მხარეების წარმომადგენლობაც. მოლაპარაკებების ამ ფორმატს ითვალისწინებდა იგივე 2008 წლის 8 სექტემბრის „განსახორციელებელი ზომების“ შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საქართველოში ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM) გააქტიურდა და რომლის ზოგადი მიზანი იყო 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების შევსება ქმედითი ინსტრუმენტებით. ჟენევის ფორმატი თავისთავად ღირებულია, როგორც დისკუსიის ერთადერთი საშუალება. თუმცა დღემდე გამართული თოთხმეტი რთული მოლაპარაკების რაუნდი უფრო პოლიტიკური დრამის პლატფორმაა, ვიდრე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა პრობლემების გადაჭრაზე მიმართული მექანიზმი. ჟენევის მოლაპარაკებებში მხარეთა მიერ საკუთარი როლის, სტატუსისა და ამოცანების განსხვავებული აღქმა ხელს უშლის კონკრეტული შედეგების მიღწევას. შესაბამისად, ზოგიერთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ამ ფორმატის გარეთ გადის. ამის მნიშვნელოვან მაგალითად შესაძლოა მივიჩნიოთ საქართველოს მიერ ძალის გამოყენებაზე ცალმხრივად უარის განაცხადი ევროპული პარლამენტის წინაშე, რამაც საერთაშორისო საზოგადოების პოზიტიური შეფასებები დაიმსახურა.⁵

⁴ მაგალითად, პრეზიდენტმა ბუშმა უწოდა მას „უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება“ West condemns Russia over Georgia, BBC News, 26 August, 2008, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7583164.stm>

⁵ წარმოთქმულ იქნა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ევროპული პარლამენტის წინაშე 23 ნოემბერს, ადრე გამოქვეყნდა „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ ფარგლებში, რომლის პრეამბულაშიც ვკითხულობთ the Preamble of which reads: “საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის მიაღწიოს დასახულ მიზნებს მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური გზებით. იგი გამოიციხავს სამხედრო გზით კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლებლობას”, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.smr.gov.ge/uploads/file/SMR-Strategy-en.pdf>

მეოთხე რიგში, დასავლეთის რეაქცია მოჰყვა იმ დიდ ფიზიკურ და მატერიალურ ზარალს, რაც საქართველომ რუსეთის აგრესიისა და ოკუპაციის შედეგად განიცადა და რამაც გამოხატულა ჰპოვა ეკონომიკური ზრდის შენელებასა და საინვესტიციო გარემოს გაუარესებაში, ინფრასტრუქტურის ნგრევასა და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუარესებაში, კონფლიქტური ზონებიდან ათიათასობით ეთნიკური ქართველის ხელახალი გამოდევნის ფონზე. 2008 წლის ოქტომბერში შედგა ე.წ. დონორთა კონფერენცია, რომელმაც საქართველოსათვის 4,5 მილიარდი დოლარი გამოჰყო (მათ შორის სესხებისა და კრედიტების სახით), რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვან დახმარებას წარმოადგენდა, განსაკუთრებით მზარდი ფინანსური კრიზისის პირობებში.

შემდგომში დასავლეთი რეაგირებიდან მდგომარეობისა და „ახალი სინამდვილის“ შეფასების ეტაპზე გადავიდა, რაც საერთაშორისო საზოგადოების პოზიციების „გადაფასებას, კორექტირებასა და გამყარებას“ ისახავდა მიზნად (როგორც ამას „საქართველოში კონფლიქტის შესახებ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია“-ე.წ. „ტალიავინის ანგარიში“ აყალიბებს).

ერთ-ერთი ძირითადი გარდატეხა დასავლურ ხედვაში უკავშირდებოდა კონფლიქტების კონტექსტისა და განზომილების აღქმას. რუსეთმა ფაქტობრივად ღიად გამოავლინა თავი კონფლიქტის მხარედ რაც, თავისთავად არ წარმოადგენდა სიახლეს ქართული მხარისათვის.⁶ 2008 წლის აგვისტომდე გაცილებით ადრე, თბილისი მოსკოვს განიხილავდა, როგორც დაინტერესებულ მხარეს და მიკერძოებულ „შუამავალს,“ რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში რუსულ-ქართული ურთიერთობების პერიპეტიებსა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის პროგრესსა თუ უკუსვლას შორის არსებულ ‘უცნაური’ უკუკავშირს.

ამიერიდან, დასავლეთმა პირდაპირ ან ირიბად მაინც აღიარა ეს ფაქტი. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები უკავშირდება ან განიხილება როგორც რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ნაწილი, ხშირად უფრო ფართო გეოპოლიტიკური მოცემულობების გათალისწინებით. 2011 წლის 17 იანვრის განცხადებაში, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის განსაკუთრებულმა წარმომადგენელმა პეტერ სემნებიმ აღნიშნა, რომ არსებობს „კონფლიქტების სხვადასხვა დონე – როგორც სახელმწიფოთა შორისი ისე შიდა სახელმწიფოებრივი,

⁶ იხილეთ Archil Gegeshidze, “**The August Events: Background Factors of the Crisis, Causes and Prospects of Elimination**,” in *Crisis in Georgia 2008: Preconditions, Reality, Perspectives*, 2009, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე http://fes.ge/de/images/Fes_Files/09_GeoP/crisis%202008%20in%20georgia_final.pdf

და ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ორივე მათგანზე, იმისათვის რომ კონფლიქტის მოგვარების მცდელობა საბოლოო ჯამში წარმატებული იყოს .“⁷

კონფლიქტის მრავალგანზომილებიანი ხასიათი აგრეთვე აღინიშნა „ტალიავინის ანგარიშშიც:“⁸

„კონფლიქტს ახასიათებს სამი დამოუკიდებელი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული დონე:

- საქართველოს ხელისფლებასა და საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ უმცირესობათა შორის მოუგვარებელი ურთიერთობები;
- დამაბული და გაურკვეველი ურთიერთობები საქართველოსა და მის ძლიერ ჩრდილოელ მეზობელ რუსეთს შორის;
- ძირითადი საერთაშორისო, როგორც რეგიონალური, ისე მის ფარგლებს გარეთ მყოფი მოთამაშეების გეო–სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც ეჯიბრებიან ერთმანეთს პოლიტიკური გავლენის, ენერგორესურსებზე წვდომისა და სხვა სტრატეგიული აქტივებისათვის.“

უკანასკნელი პუნქტის ფარგლებში აღირებულია მოცემული კონფლიქტის მასშტაბურობა. კონფლიქტის შემდგომ ძალიან მალე დასავლეთმა მიიღო სერიოზული გამოწვევა. რუსეთმა, საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის საერთაშორისო დონეზე გაკიცხვის ფონზე, უკან დახევის ნაცვლად, მაშინვე მსოფლიო წესწყობის „ახალი პრინციპები“ წამოსწია წინ. მოსკოვის ძალისხმევა ‘წითელი ხაზით’ შემოესაზღვრა ე.წ. „პრივილეგირებული ინტერესების“ არეალი,⁹ დასავლეთმა მიუღებლად მიიჩნია, როგორც „ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების“¹⁰ გავლების მცდელობა, რის გამოც რუსეთის „პრეტენზია... ქონდეს სხვა სახელმწიფოთა შიდა თუ საგარეო საქმეებში ჩარევის განსაკუთრებული უფლება“

⁷ პიტერ სემნების გამოსვლა ევროსაბჭოს ეროვნული ასამბლეის წინაშე, პარიზი, 2011 წლის 17 იანვარი “ჩართულობის, დიალოგისა და თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ რუსეთ–საქართველოს ომის შედეგების უგულვებელსაყოფად: მომავლისკენ მიმართული მიდგომა“

⁸ საქართველოში კონფლიქტების შესახებ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, ტომი II, გვ. 33; ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ceiiig.ch/>

⁹ New Russian World Order: the Five Principles, BBC News, 1 September, 2008, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7591610.stm>

¹⁰ Ferrero Walder, ციტატა გადაცემიდან BBC News on “EU’s Show of Unity Over Georgia”, 2008 წლის 1 სექტემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://news.bbc.co.uk/2/hi/7592972.stm>

დაგმოხილ იქნა, როგორც „საერთაშორისო სამართალთან შეუსაბამობაში მყოფი“ მოთხოვნა.¹¹

გარდა ამისა, დასავლური საზოგადოებისათვის ცხადი გახდა რუსეთის მცდელობა ერთგვარი 'სამაგიერო' გადაეხადა კოსოვოსათვის. შესაბამისი მინიშნებები კეთდებოდა რუსეთის ლიდერების განცხადებებში, სადაც ისინი აგრესიის გასამართლებლად „ჰუმანიტარული აუცილებლობაზე“ აპელირებდნენ, მაშინ როცა ამ არგუმენტის გამოყენება მათი მხრიდან ჩეჩნეთის სავალალო გამოცდილების ფონზე ცინიკურად ჟღერდა. შესაბამისად, ფაქტების დამდგენმა დამოუკიდებელმა საერთაშორისო მისიამ, რომელიც არა ვარაუდებით, არამედ გამოძიების შედეგებით ხელმძღვანელობდა, ანგარიშში დაასკვნა, რომ „რუსეთის ჩარევას არ გააჩნდა ჰუმანიტარული ხასიათი.“¹²

იგივე ანგარიშში იკვეთება რამდენიმე დაკვირვება, რაც დასავლური პარადიგმის შემადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული „არაღიარების“ პრინციპთან მიმართებაში.¹³

“საერთაშორისო სამართალი არ ცნობს უფლებას ცალმხრივად შეიქმნას ახალი სახელმწიფო თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, გარდა კოლონიებისა და აპართეიდის შემთხვევებისა.“ გამოყოფის საფუძვლად მიჩნეული ისეთი 'ექსტრემალური ვითარება,' როგორც არის გენოციდი, მოცემულ შემთხვევაში უსაფუძვლოდ და დაუდასტურებლად იქნა აღიარებული.

მეტიც, ანგარიშის მიხედვით, „არსებობს რამდენიმე მაჩვენებელი, რაც მიანიშნებს რომ ეთნიკურ წმენდას ჰქონდა ადგილი [მაგრამ] ქართველების მიმართ სამხრეთ ოსეთში როგორც 2008 წლის კონფლიქტის დროს, ასევე მის შემდეგაც.“ აფხაზებისა და რუსების მიერ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ზემო კოდორის ხეობის ძალადობრივი დაკავებაც მოცემული ანგარიშის შესწავლის საგანი გახდა. აღნიშნული ქმედება აღიარებულია უკანონოდ, არღვევს რა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებსა და კონკრეტული შეთანხმებების პირობებს.¹⁴

ის, რაც ყველაზე მეტად უთხრის ძირს სეპარატისტულ მოთხოვნებს, გახლავთ ხელოვნური „დემოგრაფიული ინჟინერია“ სასურველი ეთნიკური ჯგუფების სასარგებლოდ სხვათა ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის ხარჯზე, რაც სრულიად აქარწყლებს „კანონიერებისა“ თუ „ჰუმანიტარული საჭიროების“

¹¹ “Tagliavini Report”, იგივე ნაშრომი., ტომი II, გვ. 7

¹² “Tagliavini report”, ტომი II, გვ. 24

¹³ დამატებითი მასალა: John Dugard and Daviod Raič, “The role of recognition in the law and practice of secession”, in “Secession”, Marcelo G. Kohen (Ed.), Cambridge University Press, 2006, pp. 94-110

¹⁴ “Tagliavini report”, იგივე ნაშრომი. განსაკუთრებით მე-17 და 24 პარაგრაფები

პრეტენზიებს საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. ამ მხრივ, მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა აფხაზეთის შემთხვევაში. 2011 წლის იანვარის ე.წ. აფხაზურ-რუსული გაერთიანებული კომისიის გადაწყვეტილება ქართული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეებისათვის ქონებასთან დაკავშირებულ დავებში მონაწილეობის აკრძალვის შესახებ ამის ერთერთი უახლესი მაგალითია და კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას. ამ ფაქტს სულ მცირე, აშკარა ეთნიკური დისკრიმინაცია შეიძლება ეწოდოს (რადიო „ეხო მოსკვი“-ს რუსი კომენტატორი მატვეი განაპოლსკი თავის შეფასებებში გაცილებით უფრო მკაცრია).¹⁵

დაკვირვებისა და შეფასების შემდგომ, დასავლეთმა მოქმედების პრო-აქტიურ რეჟიმში გადაინაცვლა, „ახალი სინამდვილის“ გათვალისწინებით და კონფლიქტის სხვადასხვა დონეზე აქტიურობის განსაზღვრის მცდელობით.

სახელმწიფოთა შორის დონეზე, აშშ-სა და ევროკავშირის მიდგომა (ერთის მხრივ, რუსეთის და მეორეს მხრივ, საქართველოსადმი) მგავსია, მიუხედავად ქვემოთ მოყვანილი რიგი განსხვავებებისა. ორივე აშკარა მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც ამავდროულად გამოხატულია 'არალიარების' პოლიტიკის გატარებაში. ორივე გმობს რუსეთის გადაწყვეტილებას და ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ. აშშ-ს ახალმა, ობამას ადმინისტრაციამ, ისევე როგორც 'ლისაბონის შემდგომმა' ბრიუსელმა, მოსკოვთან „გადატვირთვის“ პოლიტიკა გამოაცხადეს, რათა მზარდი დამაბულობა შეეკავებინათ და ურთიერთობები მშვიდობიან ჩარჩოში დაებრუნებინათ, ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის სარგებლიანობაზე აპელირებით. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა უფრო მოქნილია, აღიარებს რა საერთაშორისო წყობის 'მრავალპოლუსიანობას' (რაც 2003 წლის ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიაში არის გათვალისწინებული).¹⁶ მეტიც, ევროკავშირის ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს რუსეთთან „სამუშაო“ თუ „მეგობრული“ ურთიერთობის და ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ, (ძირითადად ენერგეტიკის სფეროში). შესაბამისად, ევროპის შემთხვევაში, რუსეთთან შერჩეული პოლიტიკა ახლებურ პარადიგმას არ წარმოადგენს. აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან კი „გადატვირთვის“ ღილაკზე ხელის დაჭერა მნიშვნელოვანი ნაბიჯი და მკვეთრად გამოხატული ჟესტი იყო. რუსეთის მიწვევა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ლისაბონის სამიტზე და მისთვის ურთიერთობების 'თავიდან დაწყების' შეთავაზება

¹⁵ Matvei Ganapol'ski "Nevozmoznoe proizoshlo: Rossiya i Abkhazia official'no vveli fashizm", 14 January, 2011, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://echo.msk.ru/blog/ganapolsky/741745-echo/page/3.html>

¹⁶ A Secure Europe in a Better World, European Security Strategy, Brussels, 12 December, 2003. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.consilium.europa.eu/uedocs/cmsUpload/78367.pdf>

ამ საერთო დასავლური პოლიტიკის ნაწილად აღიქმება.¹⁷ მაგრამ ამ ფონზე მნიშვნელოვანია ის, რომ ძირითადი პრინციპები და პოზიციები უცვლელია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები (დასავლეთ და რუსეთი) ერთგვარად შეთანხმდნენ 'უთანხმოებაზე' საქართველოსთან (და მასში მიმდინარე კონფლიქტებთან) დამოკიდებულების საკითხში, სადაც დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციების გამო კომპრომისი მიუღწეველია.

მეტიც, აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმდა „სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია“,¹⁸ რაც თანდათანობით ურფო სრულ ფორმას იძენს. თეთრი სახლი, შესაძლოა ნაკლებად ხმამაღლა, ვიდრე რესპუბლიკური ადმინისტრაციის დროს, მაინც თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად აგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უცვლელი მხარდაჭერის პოლიტიკას. გარდა რუსეთისათვის ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შერულების აუცილებლობის შეხსენებისა და 'არალიარების' პრინციპის ერთგულებისა, აშშ სახელმწიფო მდივანმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ გამოიყენა ტერმინი 'ოკუპაცია,' რაც მნიშვნელოვანი დიპლომატიური ნაბიჯია, (აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინის გამოყენება გულისხმობს ოკუპანტის მიერ საერთაშორისო სამართალში გაწერილი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის აღიარებასაც).

ევროპელები, ტრადიციულად უფრო ფრთხილები და დელიკატურები არიან გამოსვლებში. თუმცა აქაც ბოლო პერიოდში რიგ განცხადებებში გაჩნდა ტერმინები „ოკუპაცია“¹⁹ და „ოკუპირებული ტერიტორიები.“²⁰ „არალიარების“ პოლიტიკა და საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა დასტურდება ყველა დონეზე. ამავდროულად, 2008 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაღრმავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა. 2010 წლის ივლისში მოლაპარაკებები დაიწყო „ასოცირებული შეთანხმების“ შესახებ; მიღებულ იქნა კონკრეტული ზომები გადაადგილების გასაადვილებლად და ვაჭრობის წასახალისებლად. ურთერთობების ამ ფორმატს, სამომავლოდ, უნდა მოჰყვეს საქართველოს უფრო მჭიდრო პოლიტიკური და

¹⁷ Nato and Russia promise a fresh start at Lisbon Summit, BBC News, 20 November, 2010
<http://www.bbc.co.uk/news/world-europe-11799097>

¹⁸ The US – Georgia Charter on Strategic Partnership, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:
<http://www.america.gov/st/texttrans-english/2009/January/20090109145313eaifas0.2139093.html>

¹⁹ ევროპული პარლამენტის 2011 წლის 20 იანვრის რეზოლუცია შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის სტრატეგიის თაობაზე (2010/2087(INI)) <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>

²⁰ Stephan Fule, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობის განხილვისას ქართულ დელეგაციასთან 2010 წლის დეკემბერში, ევროკავშირი–საქართველოს მოლაპარაკებანი ბრიუსელში, 2010 წლის 8 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://civil.ge/eng/article.php?id=22941>

ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ დადების პერსპექტივით.

კონფლიქტის „საერთაშორისო“ განზომილებაში განხილვისა და რიგი გარემოებების ცვლილების ფონზე, ერთგვარად შესუსტდა ქართულ-აფხაზური შემადგენელზე აქცენტირება. ის საერთაშორისო პროექტები, რაც ნდობის აღდგენასა და კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას ისახავდა მიზნად, კვლავაც გრძელდება, მაგრამ ფაქტობრივად მათი განხორციელება შეფერხებულია ადგილზე შექმნილი „ახალი სინამდვილით.“ ახლო მომავალში პოლიტიკური გარღვევის პერსპექტივის არარსებობისა და რეგიონ(ებ)ში რუსული გავლენის ზრდის ფონზე, დასავლეთი ცდილობს ჩართულობის ისეთი სტრატეგია შექმნას, რაც ჩიხში მოქცეულ პოლიტიკურ პროცესს ჩამოშორდება, მაგრამ არც საერთაშორისო ვალდებულებების იგნორირებას მოახდენს.

„არაღიარება და ჩართულობა“ და აფხაზეთის დეიზოლაციის პერსპექტივები

ეფექტური პრო-აქტიური მიდგომის ძიებაში, დასავლეთში გაჩნდა „არაღიარებისა და ჩართულობის“ კონცეფცია, რომლის მიზანიცაა, ორი პრინციპის კომბინირების გზით აფხაზეთის ‘იზოლაციიდან’ გამოყვანა. ვიდრე კონცეფციის დეტალურ განხილვას შევუდგებოდეთ, შემდგომი ფაქტორები უნდა აღინიშნოს:

პირველი: იმ შემთხვევაშიც, თუ აფხაზური მხარე მოიაზრებს მოსკოვს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და გარე სამყაროსთან წვდომის „ერთადერთ“ გზას (ახდენს რა თბილისის, როგორც ალტერნატივის იგნორირებას), ის, რასაც მოვიხსენიებთ ტერმინით „იზოლაცია“, ფაქტობრივად აღწერს არსებული მდგომარეობას, როდესაც აფხაზეთი გახსნილია მხოლოდ რუსეთისათვის.

მეორე: ქვემოთ, „არაღიარებისა და ჩართულობის“ დასავლური პარადიგმის განხილვისას მთავარ მოთამაშედ ძირითადად ევროკავშირს განვიხილავთ, იქიდან გამომდინარე რომ აშშ, ერთის მხრივ, ყოველთვის ნაკლებად იყო ჩართული ადგილზე მიმდინარე პროცესებში და, მეორეს მხრივ, თეთრი სახლის ადმინისტრაცია საკუთარ პოზიციას სხვაგვარად აყალიბებს.²¹

მესამე: მიუხედავად იმისა, რომ ხაზგასმულია ევროკავშირის, როგორც „არაღიარებისა და ჩართულობის“ პროგრამის ძირითადი გამტარებლის როლი, მოკლედ განვიხილავთ სხვა ორ დოკუმენტსაც, ვინაიდან ევროკავშირის სტრატეგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. შესაბამისად, ამ ორი დოკუმენტის განხილვა

²¹ აშშ შეფასების ოფიციალური ვერსიისათვის იხილეთ აშშ სენატში ინიცირებული საქართველოს შესახებ რეზოლუციის პროექტი, 2010 წლის 10 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.civil.ge/eng/article.php?id=22951&search=US engagement Abkhazia](http://www.civil.ge/eng/article.php?id=22951&search=US%20engagement%20Abkhazia)

ადვილებს ევროკავშირისეული კონცეფციის აღქმას და მასთან დაკავშირებული იურიდიული, პრაქტიკული თუ სხვა შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასებას.

2010 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით.“²² მოცემული დოკუმენტი მომზადდა დასავლელ ექსპერტებთან და ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი რჩევების საფუძველზე. მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში ევროკავშირის განსაკუთრებული წარმომადგენლის ოფისის,²³ ისევე როგორც ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობა. სტრატეგიამ პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა დასავლურ წრეებში, მათ შორის, ევროკავშირის მხრიდან და შეფასებული იქნა, როგორც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი და „მოსახლეობის ინტერესებზე“ ორიენტირებული მრავალი კონსტრუქციული წინადადების შემცველი დოკუმენტი. სტრატეგია თანხვედრაში იყო ევროკავშირის „არადიარებისა და ჩართულობის“ მიდგომასთან.²⁴ დასავლურმა საზოგადოებამ მოიწონა სტრატეგიაში ქართული მხარის მიდგომა ‘სუვერენიტეტის’ პრინციპთან მიმართებაში, რაც ტერიტორიაზე კონტროლის გარდა, იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე პასუხისმგებლობის აღებას გულისხმობდა. “კეთილი ნების“ გამოხატვის გარდა, სტრატეგია ერთგვარად ასახავს ქართული მხარის მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის გაცნობიერებას, ნაცვლად „სტრატეგიული მოთმინებისა,“ თუ ეს უკანასკნელი მოცდის რეჟიმში ყოფნას და შესაბამისად, რეგიონის „იზოლირებულად“ ანუ, სავარაუდოდ სრული „რუსიფიკაციის“ საფრთხის წინაშე დატოვებას გულისხმობს.

სტრატეგია განსაზღვრავს თანამშრომლობის რამოდენიმე სფეროს, როგორცაა ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა და განათლება, გადაადგილების თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფალი წვდომა, კულტურული მემკვიდრეობა და იდენტურობა. სამოქმედო გეგმა,²⁵ რომელიც სტრატეგიის გამოქვეყნებიდან ნახევარ წელიწადში შემუშავდა, მოიცავს ქართული მხარის მიერ შეთავაზებული „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკულ ზომებს. გამოიყო ოთხი სამუშაო მიმართულება და შემუშავდა შვიდი სამოქმედო ინსტრუმენტი. სამოქმედო გეგმა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩართულობას „მოსახლეობასთან, მათი კეთილდღეობის

²² <http://www.smr.gov.ge/uploads/file/SMR-Strategy-en.pdf>

²³ პიტერ სემნების 17 იანვარს წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც მან ისაუბრა ახლო

თანამშრომლობაზე და შეაფასა საქართველოს მთავრობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

²⁴ Cathrin Ashton, 8 July, 2010 http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=30&info_id=12315

²⁵ სამოქმედო გეგმა ჩართულობისათვის (ინგლისურად), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<http://www.civil.ge/files/files/AP-en.pdf>

გაუმჯობესების, იზოლაციის შემცირების, პიროვნებისა და რეგიონული უსაფრთხოების დაცვისათვის.“ მოცემულ ნაშრომში სამოქმედო გეგმას დეტალურად არ განვიხილავთ, თუმცადა, აღსანიშნავია, რომ აფხაზური (და ოსური) მხარეებისათვის არც ისე მიმზიდველი ოფიციალური ენისა და ტერმინოლოგიის მიღმა, ბევრი საკმაოდ მოქნილი და განსახილველად ღირებული წინადადებაა წამოყენებული.

ქართული სტრატეგიის გახმოვანების პარალელურად, ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტმა მიიღო პიტერ სემნების მიერ ინიცირებული ორი შიდა დოკუმენტი (2009 წლის დეკემბერში). ერთ-ერთი მათგანი ეხება საქართველოში, კონფლიქტურ ზონებში „არალიარებისა და ჩართულობის“ პოლიტიკას. ეს დოკუმენტები საჯაროდ არ გამოქვეყნებულა, თუმცადა, ევროკავშირის ოფიციალური პირების შემდგომი განცხადებები, ისევე როგორც ამ დოკუმენტებისა და ქართული სტრატეგიის დროში, ტერმინოლოგიაში, პრინციპებში და აქტორებში (ევროკავშირის მხრიდან) თანხვედრა გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ამ დოკუმენტებს შორის მჭიდრო შინაარსობრივი თანხვედრაც არის, თუნდაც განსხვავებული ფორმულირებით.

გარდა ამისა, 2010 წლის მაისში ორმა ამერიკელმა ექსპერტმა – ალექსანდერ ქულიმ და ლინკოლნ ა. მიტჩელმა წამოაყენეს მსგავსი კონცეფცია აფხაზეთისა და „ევრაზიის არალიარებული სახელმწიფოებისათვის“, რომელსაც „ჩართულობა აღიარების გარეშე“ უწოდეს, თუმცადა ეს უკანასკნელი წმინდა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომია (და არა პოლიტიკური დოკუმენტი). ოდნავ განსხვავებული დასახელების მქონე ეს კონცეფცია მსგავს ხედვას გვთავაზობს აშშ და ევროკავშირის მიერ გასატარებელი პოლიტიკის თვალსაზრისით, მოიცავს რა არალიარებისა და ჩართულობის ელემენტებს, (განახლებული გამოცემა გამოქვეყნდა 2010 წლის ოქტომბერში).²⁶

კონცეფცია ეფუძნება კონფლიქტის მოგვარების ძალზე მცირე ალბათობის აღიარებას მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. შესაბამისად, ავტორთა მოსაზრებით, რაც უფრო დიდხანს რჩება დასავლეთი უმოქმედოდ, მით უფრო მტკიცე ხდება აფხაზეთის კავშირი რუსეთთან. თბილისი კი, როგორც ალტერნატივა, უარყოფილია. ავტორები სტრატეგიული და ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ დასავლეთი უნდა გააქტიურდეს და კონფლიქტური ზონების მოსახლეობას გარკვეული დერეფნები გაუხსნას ევრო-ატლანტიკურ სამყაროსთან საურთიერთოდ, რათა ადგილობრივ მაცხოვრებლებს წარმოდგენა შეექმნათ დასავლური ღირებულებებისა და დასავლური ცხოვრების წესის შესახებ. არალიარების პრინციპის დაცვის პირობებში, კონცეფცია კონფლიქტის მოგვარების

²⁶ Alexander Cooley and Lincoln L. Mitchell, Engagement without Recognition: A New Strategy toward Abkhazia and Eurasia's Unrecognized States, *The Washington Quarterly* • 33:4, October 2010, გვ. 59-73

ალბათობის თანდათანობით გაზრდის საშუალებად ჩართულობას მოიაზრებს. მეტიც, ავტორების აზრით, მათი კონცეფცია „საქართველოს გაერთიანების იმედის შესანარჩუნებლად ერთადერთი გამოსავალია,“ მიუხედავად იმისა, რომ ელიან ასეთი კონცეფციის განხორციელებისადმი გარკვეულ წინააღმდეგობას ქართული მხრიდან. ლოგიკა შემდეგია: პოლიტიკის გატარება უნდა დაიწყოს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე (რაც, ავტორთა აზრით, გამოიწვევს ქართული მხარის წინააღმდეგობას), და მაშინ, როდესაც აფხაზეთი აღიქვამს დასავლეთს, როგორც რუსეთზე დამოკიდებულების რეალურ ალტერნატივას, „საშუალო ვადიან პერსპექტივაში... კონტაქტების ხარისხი და რაობა შეიძლება ოდნავ შესწორდეს და გაითვალისწინოს, ან თუნდაც პირდაპირ დაუკავშირდეს, სტატუსის საკითხებს და საქართველოსთან შერიგებისკენ მიმართულ ინიციატივებს.“²⁷

კონცეფციის ფარგლებში, გათვალისწინებულია აფხაზეთში მცხოვრებთა გადაადგილების გაადვილება, მათთვის საზღვარგარეთ განათლების მიღების საშუალებების შეთავაზება, მრავალმხრივი ეკონომიკური კავშირები შავი ზღვის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის ტურისტული, ფინანსური და სამოქალაქო ურთიერთობანი ევროპასა და ამერიკასთან. ნაშრომის ფარგლებში ნავარაუდევია მრავალი შეუთავსებლობა სამართალთან, თუმცადა ავტორები შემოქმედებითი გადაწყვეტილებების მოძიების შესაძლებლობას ხედავენ პოლიტიკური სტატუსის საკითხთან გამიჯვნისა და არალიარების პოლიტიკის დაცვის პირობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წარმომადგენელთა ინფორმაციით, მოცემული კონცეფცია ევროკავშირის დოკუმენტებისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა.²⁸

ევროკავშირის „არალიარება და ჩართულობა“

ევროკავშირის ოფიციალური სტრატეგია „არალიარება და ჩართულობა“ ჯერ არ ჩამოყალიბებულა და გასაჯაროვებულა. პროცესს ევროკავშირის განსაკუთრებული წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ხელმძღვანელობს. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელის პოზიცია მალე გაუქმდება²⁹ ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უზენაესი წარმომადგენელის ქეთრინ ეშტონის გადაწყვეტილებით, რომელიც მიზნად ისახავს ბრიუსელის წარმომადგენლობის უკეთ კოორდინირებასა და ეფექტურობის გაზრდას. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ ვინ და როგორ, თუ საერთოდ, განავითარებს შემდგომში ამ კონცეფციას. მაგრამ

²⁷ Alexander Cooley..., იგივე ნაშრომი. გვ. 69

²⁸ ავტორის მიერ ევროკავშირის ოფიციალური პირებისათვის ჩამორთმეული ინტერვიუები

²⁹ 2011 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით

კულუარებში, ოფიციალურ, სამეცნიერო და საექსპერტო წრეებში, კონცეფცია უკვე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბჭობის საგანი გახდა. ევროკავშირის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის მიერ ევროკავშირის განსაკუთრებულ წარმომადგენელთან ერთად მოწყობილ სემინარზე „ევროკავშირის არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“ სამოცდაათამდე საერთაშორისო ექსპერტმა განიხილა პოლიტიკის იურიდიული, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და პრაქტიკული მახასიათებლები. ვინაიდან შეხვედრა „ჩეტჰემ ჰაუსის“ (Chatham House) წესებით შედგა, პროტოკოლი არ გამოქვეყნებულა. თუმცა, მონაწილეთა გადმოცემით, ზოგადი ხედვების გარდა, მოსაზრებები პრაქტიკულ საკითხებზეც გაიყო.³⁰ შესაძლებელია, რომ ამ მოსაზრებათა ნაწილი მაინც აისახოს ევროკავშირის სტრატეგიაში, რომელზეც გრძელდება მუშაობა. პიტერ სემნებიმ, 2011 წლის 17 იანვარს წარმოთქმულ სიტყვაში თავადვე ნაწილობრივ გაახმოვანა ძირითადი ხედვა, გარკვეული მოსაზრებები და მოტივები, რასაც კონცეფცია ეყრდნობა.³¹

უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირისათვის გამოწვევას წარმოადგენს დამყარებული მშვიდობის არადმგრადობა, ისევე როგორც ადგილზე შექმნილი ვითარება უსაფრთხოების თვალსაზრისით. სემნების განცხადებით, „ევროკავშირი ვერ დაუშვებს მის უშუალო სამეზობლოს რუკაზე თეთრი ლაქებისა თუ შავი ხვრელების არსებობას.“ არაგამჭვირვალე ანკლავები დიდი ოდენობით კონტრაბანდის, ტრეფიკინგისა და კორუფციის თავშესაფარი შეიძლება გახდეს, რაც რისკის შემცველია ევროპის უსაფრთხოებისათვის.

მეორეს მხრივ, განიხილება ევროკავშირის პოლიტიკური ინტერესები. არსებული მდგომარეობის ევროკავშირისეულ შეფასებაში, „სეპარატისტული რეგიონები“ სულ უფრო უახლოვდება და დამოკიდებული ხდება რუსეთზე, შორდება რა საქართველოს. ამ თვალსაზრისით, განცხადება საკმაოდ პირდაპირია: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში მიმდინარე პროცესებში ჩართვა... მისცემს ევროკავშირს საშუალებას გახსნას ეს ტერიტორიები, გაზარდოს საკუთარი წონა და სამოქმედო ბერკეტები, გახდეს გაბატონებული პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა, და, საბოლოო ჯამში, მიუახლოვდეს კონფლიქტების მოგვარებას.“ ამ განცხადებით, ევროკავშირი აღიარებს პოლიტიკური პროცესის სირთულეს და შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ ჟენევის მოლაპარაკებების გარდა, რაც მხარეთა შორის ურთიერთობის ძირითადი საშუალებაა, მათ შორის კონტაქტები მწირია. ევროპული ფასეულობების გავრცელებისა და გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები

³⁰ შეკრების ზოგიერთი მონაწილის ინტერვიუ

³¹ პიტერ სემნების გამოსვლა ევროსაბჭოს ეროვნული ასამბლეის წინაშე, პარიზი, 2011 წლის 17 იანვარი
“ჩართულობის, დიალოგისა და თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ რუსეთ–საქართველოს ომის შედეგების უგულვებელსაყოფად: მომავლისკენ მიმართული მიდგომა”

ადამიანების „ევროპული“ თვითიდენტიფიკაციის წახალისებით, ევროკავშირი იმედოვნებს დაუახლოვოს ერთმანეთს კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი საზოგადოებები, მათი მსოფლმხედველობა და ინტერესები და ამით, აღადგინოს ურთიერთობები, ნდობა და თანამშრომლობა.

აქაც, ჩართულობა და დიალოგი, (რუსეთთან მიმართებაში ევროკავშირის „ჩართულობის“ სტრატეგიის მსგავსად), განიხილება, როგორც ეფექტური „რბილი ძალა“ მდგრადი შედეგების მისაღწევად, იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკა მიღებული იქნა ყველა მხარის მიერ.

განხილვებმა განსაზღვრავს „არაღიარებას“ და „ჩართულობას“, როგორც კონცეფციის ორ დედაბოძს, რომლებიც ერთი მეორის გარეშე „წარმოუდგენელია.“ ამასთან ამ ორი პრინციპის კომბინირება განიხილება იმ ჩარჩოდ, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მოიძებნოს ურთიერთობისათვის პოლიტიკური და სამართლებრივი სივრცე.

სამართლებრივი და პრაქტიკული დაბრკოლებები

მიუხედავად იმ შესაძლებლობების მრავალფეროვნებისა, რასაც ჩართულობის კონცეფცია მოიაზრებს, ბალანსის შენარჩუნება ამ ორ პრინციპს შორის საერთაშორისო სამართალთან კონფლიქტის გარეშე საკმაოდ რთულია. ერთ–ერთ დაბრკოლებად შესაძლოა განიხილულ იქნას აფხაზეთის მაცხოვრებლებისათვის სამგზავრო დოკუმენტების საკითხი. თუკი ჩართულობის პოლიტიკა განხორციელება, გარუკველველია, რა ტიპის სამგზავრო საბუთებით უნდა ისარგებლონ კონფლიქტის ზონის მაცხოვრებლებმა იმ პირობებში, როცა აფხაზური მხარე კანონიერ ქართული პასპორტებს უარყოფს, დე–ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული პასპორტები არავალიდურია და ვერ იქნება აღიარებული, უკანონოდ გაცემული რუსული პასპორტები არ დაიშვება, ხოლო განსაკუთრებული საშვების საკითხი ჯერაც კამათიც საგანია, (ნეიტრალური საბუთების იდეა წამოყენებულ იქნა ქართული მხარის მიერ და ამჟამად განიხილება საერთაშორისო დონეზე, მაგრამ რამდენად მისაღები გახდება ეს წინანდადება აფხაზური/რუსული მხარისათვის, უცნობია). შესაბამისად, ძნელია ერთ პრინციპზე დაყრდნობით მოქმედება მეორის შეუღლებად.

კონფლიქტის მხარეთა პოზიციებმა დამატებითი დაბრკოლება შეიძლება შექმნას. ზოგადად, კონცეფცია კონფლიქტის ორი ძირითადი მხარისათვის, ქართველებისა და აფხაზებისათვის, მისაღები უნდა იყოს, მაგრამ თითოეულს მის განხორციელებასთან დაკავშირებული განსხვავებული პრეფერენციები და ინტერესები აქვს, რაც მეორე მხარისათვის მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

აფხაზური მხარისათვის ევროკავშირის უშუალო ჩართულობა მისაღები უნდა იყოს, რამდენედაც პოლიტიკა მიმართულია ადგილზე ჰუმანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ხალხს მიეცემა საშუალება გაიმჯობესოს ცხოვრების დონე და ამის უარყოფა რთულია. თუმცადა, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ნებისმიერი უშუალო ურთიერთობა ევროკავშირთან ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში, თუკი არ იქნა თბილისთან კოორდინირებული, აფხაზური პოლიტიკური ელიტისა თუ საზოგადოების მიერ წარმოჩინდება როგორც დე ფაქტო აღიარება და სელს შეუწყობს ე.წ. „მცოცავი“ აღიარების იმედების გაღვივებას.

მოსკოვის ჩაშლილი მცდელობის შემდეგ, მოეპოვებინა საკუთარი გადაწყვეტილებისათვის საერთაშორისო მხარდაჭერა, მათ შორის სამეზობლოში სავარაუდო მოკავშირეებისაგან, აფხაზეთმა ერთგვარად უხერხულ 'სამთა სამეგობროში' ამოჰყო თავი: ლათინური ამერიკის ანტიამერიკულად განწყობილი ნიკარაგუა და ვენესუელა გაურიგდნენ რუსეთს და აღიარების სანაცვლოდ ორაზროვანი ეკონომიკური და სამხედრო დივიდენდები მიიღეს, ხოლო შორეული წყნარი ოკეანის კუნძული ნაურუსათვის, დიდი ალბათობით, იმდენადვე ცნობილია შავი ზღვის რეგიონი, რამდენადაც ამ რეგიონში სმენიათ ნაურუს შესახებ. შესაბამისად, არსებული მდგომარეობა აფხაზური მხარისათვის, სავარაუდოდ, სასურველისაგან საკმაოდ შორს არის. გარდა ამისა, დასავლური ჩართულობის დაკავშირებამ მომავალში აღიარების პერსპექტივებთან, შესაძლოა აფხაზურ მხარეს ცრუ იმედები გაუჩინოს და ქართული მხარის გაღიზიანება გამოიწვიოს, რაც საბოლოო ჯამში მეტად გააღრმავებს განხეთქილებას.

ქართულ მხარისათვის სწორედ ზემოთ აღწერილი ალბათობა წარმოადგენს ევროკავშირის უშუალო ჩართულობასთან დაკავშირებულ მთავარ გამოწვევას. ამ შემთხვევაში, საფრთხის მომცველია არა მხოლოდ აფხაზური მხარის მიერ ჩართულობის სასურველი ინტერპრეტაცია, არამედ მოსალოდნელი კონკრეტული ძალისხმევებიც, რასაც სავარაუდოდ აფხაზური მხარე რუსეთის დახმარებით მიმართავს ამ პოლიტიკის დროთა განმავლობაში რეალურ აღიარებად გარდასაქმნელად. გარდა ამისა, თბილისი შიშობს, რომ წინაპირობების გარეშე მოქნილობა შეიძლება საკუთარი პოლიტიკური, უსაფრთხოების თუ ჰუმანიტარული ინტერესების სრულ იგნორირებად დაუჯდეს, რამდენადაც ამ შემთხვევაში აფხაზურ მხარეს შეუმცირდება ან სულაც გაუქრება თბილისთან რაიმე ტიპის დიალოგის მოტივაცია. ზოგიერთი მოსაზრებით, საფრთხეების ამგვარმა აღქმამ გამოხატულება ჰპოვა 2010 წლის 15 ოქტომბერს მიღებულ „ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესების შესახებ“ დადგენილებაში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამართალთან, მაგრამ, არსებული ვითარების ფონზე, გარკვეულწილად შემოსაზღვრავს სივრცეს საერთაშორისო აქტივობებისათვის. მიუხედავად ამისა, თბილისი

დაინტერესებულია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ჩართულობას კონფლიქტის ზონებში, მითუმეტეს თუ ეს ევროკავშირის ეგიდით განხორციელდება, იმ შემთხვევაში თუ ეს ჩართულობა დაუკავშირდება სახელმწიფო სტრატეგიას, რაც, საბოლოოდ, საშუალებას მისცემს ქართულ მხარეს გაზარდოს მიმზიდველობა და მოტივაცია შეუქმნას აფხაზებს თანამშრომლობისათვის, სამომავლოდ მაინც.

რუსული მხარე შესაძლოა შეეწინააღმდეგოს ევროკავშირის ჩართულობას, სულ მცირე იმ დონეზე მაინც, რამაც მის დომინანტურ გავლენას შეარყევს. შედეგად, შესაძლოა მივიღოთ „აკრძალული“ მიმართულებების ჩამონათვალი, დაწყებული ფიზიკური ჩართულობით, მათ შორის ადგილზე ევროკავშირის სადამკვირვებლო წარმომადგენლობასთან, როგორც რუსეთის თვითნებური სამხედრო ქმედებებზე ერთგვარი მონიტორინგის ინსტრუმენტთან დაკავშირებით, დასრულებული გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობებით, იმ შემთხვევაში თუ ის არ შეესაბამება რუსეთის ინტერესებს. ერთის მხრივ, თუკი რუსეთი საერთოდ დათანხმდება ევროკავშირის მონაწილეობას, უპირველეს ყოვლისა, ჩართულობის დონე გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ამას ევროკავშირი მოიაზრებს (რომლის მიზანიცაა რუსული განზომილების სათანადო ალტერნატივის შექმნა). მეორეს მხრივ კი, დიდი ალბათობით, რუსეთი ეცდება გამოიყენოს ევროკავშირის მონაწილეობა საკუთარი რეპუტაციის გამოსასწორებლად და ძალისხმევებს გააძლიერებს აფხაზეთის საერთაშორისო დე ფაქტო და დე იურე აღიარებისათვის.

და ბოლოს, მდგომარეობის სირთულის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, გაძნელება ევროკავშირის ოცდაშვიდივე წევრი ქვეყნის მხარდაჭერის მიღება, მათი განსხვავებული გამოცდილებისა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ხიფათების განსხვავებული ხედვების გამო. შესაბამისად, ჩართულობისა და არაღიარების კონცეფცია უნდა ითვალისწინებდეს ყველა ამ დელიკატურ დეტალს, რაც, თავისთავად არის დასავლური პარადიგმისათვის ერთერთი მთავარი გამოწვევა.

აღიარების გარეშე ჩართულობის პერსპექტივები

ჩართულობის პოლიტიკის სულისკვეთებიდან გამომდინარე, რომელიც დომინირებს თანამედროვე დასავლურ პარადიგმაში (არა მხოლოდ საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებაში), მაინც იკვეთება გარკვეული პერსპექტივები დიალოგსა და საერთო ინტერესებზე დაყრდნობის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ევროკავშირის მიერ თბილისის გვერდის ავლითა და მისი თანხმობის გარეშე საკუთარი არაღიარებისა და ჩართულობის სტრატეგიის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გატარების ალბათობა მცირეა, პირველ რიგში, მის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, მეორეს მხრივ კი იმის გამო, რომ საქართველო

მოიაზრება, როგორც მნიშვნელოვანი პარტნიორი, რომელთანაც ევროკავშირს მზარდი ორმხრივი თანამშრომლობა აკავშირებს. აგრეთვე, სტრატეგიის განხორციელება შეუძლებელი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ მასში მონაწილეობაზე აფხაზები და რუსები იტყვიან უარს.

შესაბამისად, ევროკავშირს შესაძლოა კომპრომისული გადაწყვეტილების ძიება დასჭირდეს. დღესდღეობით, მხარეთა პოლიტიკური პოზიციები და პროექტები იმდენად შეუთავსებელია, რომ ამ თვალსაზრისით კომპრომისისათვის ადგილი თითქმის არ რჩება. შედეგად, ევროკავშირის სტრატეგია შესაძლოა მოიცავდეს მცდელობას, მხარეები პირობითად ჩამოაშაროს პოლიტიკურ დღის წესრიგს და ფოკუსირება მათ პრაგმატულ ინტერესებზე მოახდინოს, იმგვარად, რომ ამ უკანასკნელმა მხარეთა პრიორიტეტების სიაში უპირატესი პოზიცია დაიკავოს. შემდგომი ნაბიჯი იქნებოდა პრაგმატულ ინტერესთა გადაკვეთის წერტილების მოძიება. ამგვარად, პრაგმატული საკითხებისადმი მეტი ყურადღების დათმობით, მხარეებმა შესაძლოა გადალახონ კიდევ გარკვეული დაბრკოლებები.

უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირი მეტნაკლებად ყველა მხარისათვის შუამავლის ფუნქციის შესასრულებლად მისაღები საერთაშორისო ძალაა.

აფხაზური მხარე, რომლისათვის აღიარების პერსპექტივა არ იკვეთება, შესაძლოა დაინტერესებული იყოს ევროკავშირის ჩართულობაში ჰუმანიტარული და სოციალური-ეკონომიკური მოსაზრებების გამო. ევროკავშირის ჩართულობა მის სტრატეგიულ ინტერესსაც უნდა ეხმარებოდეს, რამდენადაც ეს ცხოვრების ყველა სფეროზე რუსეთის ექსკლუზიური გავლენის შემსუბუქებას შეუწყობდა ხელს. თავდაპირველი ეიფორიის გავლის შემდგომ, აფხაზურ მხარემ შესაძლოა გააცნობიერა ის დამატებითი საფრთხეები, რაც რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების, რუსულ-აფხაზური ურთიერთქმედების „ლეგალიზებისა“ და ნაჩქარევად დადებული მრავალწლიანი შეთანხმებების³² შედეგად მათ 'დამოუკიდებლობის პროექტს' და ზოგადად, აფხაზურ იდენტურობას დაემუქრა.

ამასთან, რუსული მხარისთვისაც ევროკავშირის ჩართულობა შესაძლოა არც ისე „ტრავმატული“ თუ გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს, რამდენადაც ევროკავშირი მოსკოვის მიერ არასდროს განიხილებოდა, როგორც 'რეალური' საფრთხე (განსხვავებით ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა თუ აშშ-საგან), 'რბილი' და 'ხისტი' ძალის შესაძლებლობების მისეული შეფასებიდან და შესაბამისად, ევროკავშირისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის არსის განსხვავებული აღქმიდან გამომდინარე. საბოლოო ჯამში, რუსეთის მხარე დაინტერესებულიც კი

³² Alexander Cooley and Lincoln A. Mitchell, Engagement Without Recognition: A New Strategy Toward Abkhazia and Eurasia's Unrecognized States, in *The Washington Quarterly*, October 2010. გვ. 65-66

შეიძლება აღმოჩნდეს ევროკავშირის ჩართულობაში, ვინაიდან ეს უკანაქნელი ხელს შეუწყობს სეპარატისტულ რეგიონებში რიგი სოციალური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული საკითხის მოგვარებას და ამით გარკვეულწილად შეამცირებს თავად რუსეთის ბიუჯეტის მიერ გასაწევ ხარჯებს.

ქართული მხარე განიხილავს ევროკავშირთან ინტეგრაციას საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად. შესაბამისად ინტერესი და მზაობა ევროკავშირის ჩართულობასთან დაკავშირებით შესაძლოა მაღალი იყოს. მეტიც, ქართული მხარისათვის მომგებიანი იქნება ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივების შესანარჩუნებისა და ადგილზე ჰუმანიტარული და უსაფრთხოების ვითარებაზე დე ფაქტო კონტროლის არ ქონის კომპენსაციის თვალსაზრისით. თუკი ევროკავშირის პოლიტიკა გარკვეულ წინაპირობებზე იქნება დაფუძნებული, ან მასში გაიწერება ქართული მხარის მნიშვნელოვანი პრაგმატული ინტერესები და შერბილებული იქნება ძირითადი საფრთხეები, ის შესაძლოა ეფექტურად იქნას მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში, „არაღიარებისა და ჩართულობის“ პოლიტიკა შესაძლოა ან პირდაპირ დაუკავშირდეს ან პარალელურად გატარდეს (თუნდაც, ეტაპობრივად იქნას დროში გაწერილი) ნდობის აღდგენასა და საზოგადოებათა შორის ურთიერთობისაკენ მიმართულ ქართულ ინიციატივებთან, (იგულისხმება არა მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროექტები, არამედ ქართული სამოქალაქო და სამეწარმეო სექტორის ინიციატივებიც). მისი განხორციელება შესაძლოა ასევე დაუკავშირდეს გარკვეულ პროგრესს უსაფრთხოებისა თუ ჰუმანიტარულ საკითხებთან მიმართებაში, (რომლთა მოგვარება ჟენევის მოლაპარაკებები ხშირად ვერ ხერხდება ამ ფორმატის მკვეთრად პოლიტიკებული ხასიათის გამო). ევროკავშირის პოლიტიკის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებასთან შეჯერება შესაძლოა გახდეს კონკრეტული ამოცანებისა და გადაწყვეტილებების მიღწევის ქმედითი საშუალება. სავარაუდოდ, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა თავიდანვე ერთიანი და შეთანხმებული სტრატეგიის ინიცირება, რომელიც ევროკავშირის შუამავლობით წინასწარ კონსულტაციას გაივლიდა სხვა მხარეებთან. თავისთავად, გარანტირებული ვერ იქნებოდა ამ პროცესის წარმატებულობა, მაგრამ იმისათვის, რომ პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა საერთოდ გაჩნდეს, მსგავსი მიდგომის საჭიროება იკვეთება ახლაც, *პოსტ ფაქტუმ*, მიუხედავად დამატებითად გადასალახი სიძნელეებისა.

სამართლებრივი შეზღუდვები შესაძლოა მოგვარდეს მხარეთა მოქნილობით, პრაგმატულ ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებული მიდგომებისა და კომპრომისების მეშვეობით, საკვანძო საერთაშორისო პრინციპების დარღვევის გარეშე.

დასკვნის სანაცვლოდ

ევროკავშირის ოფიციალური პირების განცხადებებზე დაყრდნობით, მაღალია იმის ალბათობა, რომ ევროკავშირის ძალისხმევა თანამშრომლობისა და კომპრომისული გამოსავლის ძიების გზით წარიმართება.

2010 წლის ზაფხულში ევროკავშირის საგარეო საქმეთა უზენაესმა წარმომადგენელმა, ქეთრინ ემტონმა საქართველოს დახმარების აღუთქვა სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული ძალისხმევის განხორციელებაში, რამდენადაც ის „შეესაბამება [ევროკავშირის] არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას“ და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა „მიდგომას, რომელიც ეფუძნება ნდობის აღდგენასა და ხალხთა შორის ურთიერთობის გაადვილებას, ისევე როგორც გადაადგილების თავისუფლებას.“³³

2010 წლის დეკემბერში, გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ დაადასტურა ევროკავშირის მხრიდან არალიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ერთგულება, და განაცხადა, რომ ქართულ დელეგაციასთან ერთად „განიხილა საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში ერთობლივად გასატარებლ კონკრეტულ ღონისძიებათა ნუსხა ამ ორი სეპარატისტული რეგიონის ჩართულობის უზრუნველსაყოფად.“³⁴

პიტერ სემნებიმაც დადებითად შეაფასა საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას „ითანამშრომლოს საქართველოსთან, რათა სტრატეგიის განხორციელების ეტაპის მახასიათებელი გახდეს ჩართულობა და არა იზოლაცია,“ ამავდროულად ურჩია დე ფაქტო ხელისუფლებებს, გაეთვალისწინებინათ სამოქმედო გეგმაში მოცემული „კონსტრუქციული წინადადებების ფართო სპექტრი.“³⁵

საბოლოოდ, სემნების იმავე გამოსვლაში, რაც ზემოთ იქნა დეტალურად განხილული, გამოიყო ომის შედეგების გასაქარწყლებლად და სამომავლო სტრატეგიების დასაგეგმად აუცილებელი ოთხი სამოქმედო განზომილება, რომლებიცაა: 1) რუსეთ–

³³ ENPI info, 08 July, 2010, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.enpi-info.eu/maineast.php?id=22133&id_type=1

³⁴ ევროკავშირ–საქართველოს მოლაპარაკებანი ბრიუსელში, მოწოდებულია Civil.Ge–ს მიერ, 2010 წლის 8 დეკემბერი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://civil.ge/eng/article.php?id=22941>

³⁵ პიტერ სემნების გამოსვლა ევროსაბჭოს ეროვნული ასამბლეის წინაშე, პარიზი, 2011 წლის 17 იანვარი “ჩართულობის, დიალოგისა და თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ რუსეთ–საქართველოს ომის შედეგების უგულებელსაყოფად: მომავლისკენ მიმართული მიდგომა”

საქართველოს ურთიერთობები; 2) საქართველოს სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ; 3) ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, და 4) ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთთან; იმდენად, რამდენადაც ოთხივე ერთად შეადგენს ევროკავშირის მრავალწახნაგოვან პარადიგმას, განცხადება მოუწოდებს ევროკავშირს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისა და ერთდროულად ოთხივე დონეზე საკუთარი „რბილი ძალის“ გამოსაყენებისაკენ.

პროგრამა საკმაოდ ამბიციურია, თუმცა, სავარაუდოდ, შესრულებადი. მისი განხორციელება, მნიშვნელოვანწილად, განპირობებული იქნება მხარეთა მიერ (განსაკუთრებით აფხაზური და ქართული მხარეების) ინტერესების რაციონალური ფორმირებით, რათა საფუძველი ჩაეყაროს შედეგზე ორიენტირებულ ჩართულობის პროცესს. ისევ და ისევ, ბევრია დამოკიდებული პრაგმატული ინტერესების აღიარებასა და მოქნილ მიდგომებზე, რაც არ შეიძლება ეფუძნებოდეს „ცალმხრივ კონსტრუქტივიზმს,“ არამედ ურთიერთ სასარგებლო და საჭირო გადაწყვეტილებებს.